ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება და გამოწვევები საქართველოს საბანკო სექტორში

მარიამი სიხარულიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ გერაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი, სიხარულიძე, მ.სიხარულიძე 03/16/2024 ”.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში ,,ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება და გამოწვევები საქართველოს საბანკო სექტორში“ საუბარია ბოლო წლებში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რაც გამოწვეულია ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებითა და დანერგვით საქართველოს საბანკო სექტორში.

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს: იმ ძირითადი ინოვაციური ტექნოლოგიების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენს საბანკო სექტორის განვითარებაზე საქართველოში. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები: ინოვაციური ტექნოლოგიის ცნების განსაზღვრა და მისი მნიშვნელობის იდენტიფიცირება საბანკო სექტორში, ასევე იმ ტექნოლოგიური თეორიების აღმოჩენა, რომლებიც დღეს განვლენას ახდენს საბანკო სექტორის განვითარებაზე და დაიდენტიფიცირება იმ სპეციფიკური გამოწვევების, დაბრკოლებების, რომლებსაც აწყდება საბანკო სექტორი საქართველოში დღეს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისას.

კვლევისთვის ჩატარდა, როგორც ონლაინ გამოკითხვა და ამასთანავე სიღრმისეული ინტერვიუ. თემის ირგვლივ შესწავლილი იქნა დღევანდელი საქართველოს საბანკო სექტორის მდგომარეობა, ინოვაციის ბარიერები და განვითარებადი ტექნოლოგიების პოტენციური გავლენა. ნაშრომში ასევე ხაზგასმულია ის ფაქტორები, რომელიც აფერხებს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, მარეგულირებლის გარემო.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ინოვაციური ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვითარდება საქართველოს საბანკო სექტორში, გადამწყვეტ როლს თამაშობს და გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკის, ქვეყნის მდგომარეობის განვითარებაში. ამასთან აუმჯობესებს, ზრდის მომხმარებლების ხელმისაწვდომობას, ამცირებს დროს და გარანტს წარმოადგენს სამომავლო საბანკო სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: საქართველოს საბანკო სექტორი, ინოვაციური ტექნოლოგიები, ციფრული ტრანსფორმაცია, კიბერუსაფრთხოება, მარეგულირებელი.

Abstract

"Development and challenges of innovative technologies" in the master's thesis In the banking sector of Georgia" we are talking about important changes made in recent years, which are caused by the development and implementation of new, innovative technologies in the banking sector of Georgia.

The main goal of the research is: to identify the main innovative technologies that affect the development of the banking sector in Georgia. In order to achieve the set goal, the following tasks have been set: defining the concept of innovative technology and identifying its importance in the banking sector, as well as discovering the technological theories that influence the development of the banking sector today and identifying the specific challenges and obstacles that the banking sector in Georgia faces today when introducing innovative technologies.

The research was conducted as an online survey and an in-depth interview as well. The current state of the Georgian banking sector, barriers to innovation and the potential impact of emerging technologies were studied around the topic. The paper also highlights the factors that hinder the development of innovative technologies, such as cyber security, regulatory environment.

As a result of the research, it was revealed that innovative technologies are developing at a fast pace in the banking sector of Georgia, playing a decisive role and influencing the development of the Georgian economy and the state of the country. At the same time, it improves, increases the availability of customers, reduces time and is a guarantee of the future digital transformation of the banking sector.

Main keywords: Georgian banking sector, innovative technologies, digital transformation, cyber security, regulator.